საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოვადგენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

გთხოვთ, რეგლამენტის პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: -4- ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

№ 03-01-08/88
1 - 04 2020
5 ფურცელი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. VIII თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„უმაღლესი საბჭოს სათათბირო ორგანოები“.

2. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 66^1 მუხლი:
„მუხლი 66^1. უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოები

1. უმაღლეს საბჭოში იქმნება უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოები, რომლებიც ხელს უწყობენ განსაზღვრულ სფეროებში უმაღლესი საბჭოს წინაშე მდგარი განგრძობადი, სისტემური და მდგრადი პოლიტიკის შემუშავებასა და კოორდინაციას.

2. უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოებია:
ა) უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭო;
ბ) ღია მმართველობის საბჭო.“.

3. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 67^1 მუხლი:
„მუხლი 67^1. ღია მმართველობის საბჭო

1. ღია მმართველობის საბჭოს მიზანია ღია მმართველობის პრინციპების გათვალისწინებით უმაღლესი საბჭოს ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა და ამ მიმართულებით უმაღლესი საბჭოს სისტემური და კოორდინირებული მუშაობა.

2. ღია მმართველობის საბჭოს დებულება და შემადგენლობა მტკიცდება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით. ღია მმართველობის საბჭოს დებულების პროექტს შეიმუშავებს და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს დასამტკიცებლად წარუდგენს ღია მმართველობის საბჭო.

3. ღია მმართველობის საბჭოს დებულებით განისაზღვრება საბჭოს უფლებამოსილება, საქმიანობის წესი, მისი მუშაობის ორგანიზაციული საკითხები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან საბჭოს თანამშრომლობასთან დაკავშირებული საკითხები, უმაღლესი საბჭოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზების საკითხები.

4. ღია მმართველობის საბჭოს წევრთა რაოდენობას და საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. ღია მმართველობის საბჭოს შემადგენლობას

განსაზღვრავს უმაღლესი საჭოს თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს ფრაქციებთან და უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ წევრებთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე.

5. ღია მმართველობის საბჭოს თავმჯდომარეობს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით - საბჭოს ერთ-ერთი წევრი.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბათუმი,
2020 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი;

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასშტაბური საერთაშორისო ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდას. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში მთავრობები, სასამართლო, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლებები ნებაყოფლობით ახორციელებენ დემოკრატიული მმართველობის გაუმჯობესებისთვის მიმართულ რეფორმებს .

საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც 2011 წლის სექტემბერში შეუერთდა OGP-ის. საქართველომ, როგორც OGP-ის წევრმა სახელმწიფომ, უპასუხა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივას საპარლამენტო ღიაობასთან დაკავშირებით. 2015 წელს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით, ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა საქართველოს პარლამენტის წევრებისგან დაკომპლექტებული ინტერფრაქციული ჯგუფი, რასაც შემდეგში მოჰყვა საქართველოს პარლამენტის წევრებისგან ინტერფრაქციული პრინციპით დაკომპლექტებული „ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს“ შექმნა. 2015 წლიდან დღემდე დამტკიცებულია საქართველოს ღია პარლამენტის სამი სამოქმედო გეგმა. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ოქტომბერში, საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა, სახელისუფლებო და სამოქალაქო სექტორებს შორის სამოქმედო გეგმის გამორჩეული თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავების ნიშნად, მოიპოვა ღია მმართველობის პარტნიორობის ჩემპიონთა ჯილდო (the OGP Govenrment Champions Award). გარდა საქართველოს პარლამენტისა, „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატიავაში ჩართულია საქართველოს მთავრობა და ქალაქ თბილისის მერია. რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს მხრიდან „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივის მხარდაჭერას. აღსანიშნავია, რომ საქართველო, 2016-2018 წლებში, იყო „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ჯერ თანათავმჯდომარე და, შემდეგ, თავმჯდომარე ქვეყანა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა შეუერთდეს „ღია მმართველობის პარტინიორობის“ ინიციატივას, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის საკანანმდებლო ორგანოს მუშაობის გაუმჯობესებას ღია მმართველობის პრინციპების დანერგვის თვალსაზრისით. რეგიონების მონაწილეობა „ღია მმართველობის პარტნიორობაში“ გავრცელებული პრაქტიკაა, და დღეისათვის, ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონი გვევლინება „ღია მმართველობის პარტნიორობის“ წევრად.

რეგლამენტში აღნიშნული ცვლილების შეტანით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში შეიქმნება „ღია მმართველობის საბჭო“, როგორც ღია მმართველობის პრინციპების ინსტიტუციონალური განხორციელების მექანიზმი. ღია მმართველობის საბჭო უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში

საკანონმდებლო ღიაობის გაძლიერებას, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, მოქალაქეთა ჩართულობისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების ერთიანი სისტემის დანერგვას და განხორციელებას.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი;

„ღია მმართველობის საბჭოს" შექმნა მიზნად ისახავს ისეთი მუდმივმოქმედი ორგანოს შექმნას, რომელიც ჩართული იქნება და ხელს შეუწყობს უმაღლეს საბჭოში ღია მმართველობის პრინციპების დანერგვას, რეგიონის საკანონმდებლო ორგანოს გაძლიერებას ინსტიტუციური ღიაობისა და გამჭვირვალობის თვალსაზრისით. ,ღია მმართველობის საბჭო გაზრდის საზოგადოების ინფორმირებულობას საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი;

რეგლამენტის პროექტის მიხედვით, რეგლამენტის მე-8 თავი ყალიბდება ახალი რედაქციით: „უმაღლესი საბჭოს სათათბირო ორგანოები". გარდა აღნიშნულისა რეგლამენტს ემატება 66^1 და 67^1 მუხლები. კერძოდ, 66^1 მუხლით განისაზღვრება უმაღლეს საბჭოში მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოების, მათ შორის ღია მმართველობის საბჭოს შექმნის საფუძველი, ხოლო 67^1 მუხლით განისაზღვრება ღია მმართველობის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის მარეგულირებელი ნორმები.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ შედეგს იქონიებს იმ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენლებმა. პროექტის „საპარლამენტო დემოკრატიის კონსოლიდაცია საქართველოში" ფარგლებში ევროკავშირი (EU) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) მჭიდროდ თანამშრომლობს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) საქართველოს პარლამენტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ღია მმართველობის პრინციპების ხელშეწყობის მიზნით.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე.

ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი დავით გაბაიძე.